ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ა. ფ.; მ. ბ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი გ. ფ. /სიითი № /

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.01.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №009/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ჯ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჯ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2019 წლის 24 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. ფ.-მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატ თ. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 2019 წლის 05 აპრილს ჩატარებულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლის - გ. ფ.-ის შუამდგომლობის საფუძველზე, თავდაპირველ მოსაჩივრე ა. ფ.-სთან ერთად, საქმეში თანამოსაჩივრედ ჩაერთო ა. ფ.-ს მეუღლე - მ. ბ..

1.3 ა. ფ.-ს განმარტებით, ადვოკატი თ. ჯ. იცავს ქ. ზუგდიდში მ. კ.-ის და მისი ოჯახის წევრების ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ისინი ა. ფ.-ს და მ. ბ.-ს ედავებიან თაღლითობაში. ამავე საქმეზე, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა.

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა თ. ჯ.-მ საჯაროდ, არაერთხელ სატელევიზიო გამოსვლებში მათ ოჯახს თაღლითობაში დასდო ბრალი, მაშინ როცა სისხლის სამართლის

საქმეზე ვინმე ბრალდებულად ცნობილი არ ყოფილა. ასეთი ქმედებით თ. ჯ.-მ შელახა ა. ფ.-ს ოჯახის პატივი და ღირსება.

1.5 საჩივრის ავტორის - მ. ბ.-ის განმარტებით, დაახლოებით 2017 წლის თებერვალში გაიგო ტელევიზიით თ. ჯ.-ს გამოსვლის შესახებ. ამ უკანასკნელმა ტელევიზიით პირდაპირ განაცხადა, რომ ბაზრის მენეჯერმა მ. ბ.-მ მოატყუა მ. კ. და გაცვლის ხელშეკრულების ნაცვლად გაუფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც თაღლითური გზით მიისაკუთრა მ. კ.-ის ზუგდიდში მდებარე ბინა. აღნიშნული განცხადების შემდეგ, მ. ბ.-ს მოუხდა საკუთარი სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჟურნალისტების მიერ დასმული არასასურველი კითხვების მოსმენა.

1.6 მ. ბ.-ის განმარტებით, თ. ჯ. მის მიმართ მსგავი განცხადებების გაკეთებით, არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. აღნიშნული კარგად ჩანს მ. კ.-ის ინტერვიუში, სადაც ამ უკანასკნელს თ. ჯ. კარნახობს, რომ მ. ბ.-ს უწოდოს თაღლითი, ასევე თავად ადვოკატი თავის ინტერვიუს იწყებს გაცვლის ხელშეკრულების დემონსტრირებით, ასახელებს მ. ბ.-ის სახელს, საუბრობს მტკიცებით ფორმაში და განმარტავს, როგორ მოხდა მოტყუება, გაცვლის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და ნასყიდობის ხელშეკრულებით შეცვლა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ჯ.-ს მითითებით, მ. კ.-მ მ. ბ.-ის მიმართ პროკურატურაში შეიტანა საჩივარი, რის საფუძველზეც საჩივრის ავტორი გამოძიების ორგანოში დაიბარეს.

1.8 მ. ბ.-ის განმარტებით, მათ სოფელ დიდინეთში ჰქონდათ კაპიტალური, ერთსართულიანი სახლი, 500 ძირი თხილითა და შემოსავლიანი მიწით, რომლის გაცვლაც მ. კ.-სთან შეთანხმებით მოხდა ამ უკანასკნელის კუთვნილ ბინაში. თუმცა, სოფელ დიდინეთში არსებული სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთის სადავოობის გამო, გაცვლის ხელშეკრულების ამოქმედება ვერ მოხდებოდა, სანამ აღნიშნულ სადავო მიწას მოსაჩივრეები კანონის საფუძველზე არ დაირეგისტრირებდნენ და ამ საფუძვლით გაცვლის ხელშეკრულება ვერ ამოქმედდებოდა. ამიტომ, დროებით მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, რომლის საფუძველზეც მ. კ.-ის ბინა გადავიდა ა. ფ.-ს და მ. ბ.-ის საკუთრებაში.

1.9 მ. ბ.-ის განმარტებით, მ. კ.-მ დააბრალა მას, რომ სინამდვილეში სხვა სახლი აჩვენა და ახლა სხვა სახლში შეასახლა, რის გამოც მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო დავის მიმდინარეობის დროს წარმოიშვა მორიგების წინაპირობა, რომლის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ მ. კ. იტყოდა სიმართლეს მ. ბ. მზად იყო აღედგინა მხარეებს შორის არსებული პირვანდელი მდგომარეობა - ე.ი მომხდარიყო გაცვლილი უძრავი ქონების ისევ უკან დაბრუნება და მ. კ.-ს კვლავ საკუთარი ბინა დაუბრუნდებოდა. მორიგების საფუძველზე მოსამართლემ გადადო სხდომა.

1.11 მ. ბ.-ის განმარტებით, მორიგების საფუძველზე შედგა შეთანხმება, თუმცა ამის შემდგომ, თ. ჯ.-მ საჩივრის ავტორთა წარმომადგენლის - ბ. ყ.-ის წინააღმდეგ პროკურატურაში შეიტანა საჩივარი იმ საფუძვლით, რომ ბ. ყ.-მ მ. კ.-ს და მის ოჯახის წევრებს აიძულა ჩვენებების შეცვლა და მორიგების აქტის დადება.

1.12 მ. ბ.-ის განმარტებით, მოცემულ საქმეზე მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, რაც დასტურია იმისა, რომ მას არ ჩაუდენია ის ქმედებები, რასაც თ. ჯ. თავის კლიენტთან ერთად ედავება.

1.13 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა თ. ჯ.-მ ჩაიდინა ადვოკატის პროფესიისთვის შეუფერებელი საქციელი, რადგან დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, ამასთან შელახა პროცესის მონაწილის პატივი და ღირსება.

1.14 წარმომადგენლის - გ. ფ.-ის განმარტებით, სოფელ დიდინეთში არსებული უძრავი ქონების მიმდებარედ იყო სადავო მიწა, დაახლოებით 3500 კვ.კმ, რომელიც ჯერ კანონის ძალით არ იყო საჩივრის ავტორთა საკუთრებაში დარეგისტრირებული და შესაძლებელი გახლდათ ახალი მესაკუთრის ხელში გადასვლის შემდეგ, მისი საკუთრების საკითხი საჯარო რეესტრის მიერ სადავო გამხდარიყო. ამიტომ მხარეებს შორის მიმდინარე გაცვლის პროცედურა დროებით შეჩერდა და დაელოდნენ საკრებულოს გადაწყვეტილებას. მანამდე კი ა. ფ.-მ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა მ. კ.-ის ბინა, ხოლო სადავო მიწის ნაკვეთის საჩივრის ავტორთა ოჯახისთვის დამტკიცების შემდეგ, ჩვეულებრივ შესთავაზეს მ. კ.-ს მისი საკუთრებაში რეგისტრაცია. ამ დროისთვის, მ. კ. თავის 6 შვილთან ერთად უკვე ცხოვრობდა სოფელ დიდინეთის სახლში და ეწეოდა მეურნეობას, ბავშვები მიმდებარე სკოლაში მიიყვანა და ა.შ. ამის შემდეგ მათ მოულოდნელად, თვითნებურად მიატოვეს ახალი სახლი, ჩამოვიდნენ ზუგდიდში და დაიწყეს საპროტესტო აქციები მ. ბ.-ის წინააღმდეგ, თითქოს ამ უკანასკნელმა მათი ზუგდიდში მდებარე ბინა თაღლითობით მიისაკუთრა.

1.15 გ. ფ.-ის განმარტებით, ამის შემდგომ, მ. კ. ითხოვდა დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას იმ საფუძვლით, რომ მას ბინა მოტყუებით წაართვეს, რადგანაც თურმე სინამდვილეში აჩვენეს სოფელ კახათში ორსართულიანი სახლი და მის ნაცვლად სოფელ დიდინეთში შეასახლეს ერთსართულიან სახლში. თუმცა ზუგდიდის რაიონული სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ არანაირ მოტყუებას ადგილი არ ჰქონია.

1.16 გ. ფ.-ის განმარტებით, თ. ჯ. არღვევს მ. ბ.-ის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციას, რაც გამოიხატება შემდეგში: იგი ბრალს სდებს საჩივრის ავტორს საჯარო გამოსვლებში, ხოლო მის ოჯახს უწოდებს თაღლითებს და კრიმინალებს.

1.17 გ. ფ.-ის განმარტებით, მ. ბ.-ის მიმართ პატივის და ღირსების შელახვის თაობაზე სასამართლოსთვის არ მიუმართავთ. წარმომადგენლის განმარტებით, მათ პროკურატურაში შეტანილი აქვთ საჩივარი ცრუ დასმენასთან დაკავშირებით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ჯ.-მ განმარტა, რომ მისთვის სრულიად გაუგებარია საჩივრის ავტორთა პრეტენზია. ადვოკატის განმარტებით, იგი იცავს მ. კ.-ის ინტერესებს, რომელიც ა. ფ.-ს და მ. ბ.-ს უჩივის თაღლითობის საფუძველზე ბინის მისაკუთრების ფაქტზე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ა. ფ.-სა და მ. ბ.-ის მხრიდან თაღლითურად წართმეული ბინის საფუძველზე მ. კ. მართავდა საპროტესტო აქციებს, ხოლო თავად მას, როგორც მის ადვოკატს მოუწია მოცემულ საკითხზე ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება, თუმცა მას ამით არავის უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დაურღვევია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მ. კ.-მ ისე, რომ მისთვის არ უცნობებია, რადგან იგი სისხლის სამართლის მიმართულებით იცავდა მის ინტერესებს, სამოქალაქო წესით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს ნასყიდობის და გაცვლის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. მოცემულ საქმეზე, მ. კ.-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. ბ..

2.4 ადვოკატის განმარტებით, როგორც მისთვის მ. ბ.-სგან და მ. კ.-ისგან გახდა ცნობილი, ბ. ყ.-ს ადვოკატ მ. ბ.-ს ოფისში მიუტანია მორიგების აქტად წოდებული განცხადება და უთქვამს, რომ თუ ამ მორიგების აქტს ხელს მოაწერდნენ, ზუგდიდში მდებარე ბინას კვლავ მ. კ.-ს დაუბრუნებდნენ. მ. ბ.-მ მოცემული განცხადება ინტერნეტის საშუალებით გადაუგზავნა თ. ჯ.-ს. ადვოკატის განმარტებით, იგი „მორიგების აქტის" წაკითხვის შემდეგ დარწმუნდა, რომ მ. კ. ჩვენების შეცვლის საშიშროების წინაშე იდგა და უთხრა მათ, რომ დოკუმენტზე ხელი არ მოეწერათ და ბ. ყ. ცალსახად სარგებლობდა მ. კ.-ის სამართლისა და კანონის უცოდინრობით. ადვოკატის განმარტებით, მომჩივანთა საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო, რადგან მას არავის პატივი და ღირსება არ შეულახავს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ჯ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ა. ფ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 24 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი თ. ჯ. საჩივრის ავტორთა მიმართ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, უწოდებს რა მათ თაღლითებსა და კრიმინალებს. ამით იგი ლახავს ოჯახის რეპუტაციას, აგრეთვე, საჩივრის ავტორთა პატივსა და ღირსებას.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 5(გ) პუნქტი:, ,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები''

,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 6.1 პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.''

5.3 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, ხოლო ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი ადვოკატს უფლებას ანიჭებს ისე დაიცვას კლიენტის ინტერესები, რომ არ შელახოს პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

5.4 პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

5.5 ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კანონიერების პრინციპი, რაც გულისხმობს კანონით დადგენილი წესების შესრულებასა და ამ წესებით ხელმძღვანელობას, ისე სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი.

5.6 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმეზე #076/10 დაადგინა: ,,ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს.“

5.7 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმეზე #075/10 დაადგინა, რომ: ,,...ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს.“

5.8 მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ადვოკატი თ. ჯ. საადვოკატო მომსახურებას ახორციელებდა საჩივრის ავტორთა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი დასაბუთებული ვარაუდი, იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატი თავისი კლიენტის ინტერესების დაცვისას გასცდა კანონიერების პრინციპის ფარგლებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეთა შეურაცხყოფის გზით ეცადა კლიენტის ინტერესების წარმოჩენას.

5.9 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის დასასაბუთებლად, რომ ადვოკატი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს გასცდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს, როდესაც საჩივრის ავტორთა მიმართ გამოიყენა ტერმინები: „თაღლითი“ და „კრიმინალი“, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ადვოკატის მიზანი იყო საკუთარი კლიენტის ინტერესების ეფექტური დაცვა და არა მოწინააღმდეგე მხარის პატივისა და ღირსების შელახვა.

5.10 საპროცესო კოლეგია არ გამორიცხავს, რომ ადვოკატის მხრიდან მსგავსი ტერმინოლოგიის გამოყენებამ გამოიწვია საჩივრის ავტორთა არასათანადო მდგომარეობაში ჩაყენება, რადგან თავისთავად, ის მოქმედებს თავისი კლიენტის ინტერესებიდან გმომდინარე, რაც მოსაწონი ვერ იქნება მოწინააღმდეგე მხარისთვის, თუმცა აღსანიშნავია, ისიც რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება ის გარემოება, რომ ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა საჩივრის ავტორთა დამცირება. ადვოკატ თ. ჯ.-ს ერთადერთი მიზანი იყო საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვა, ხოლო მეორე მხარის მსგავსი ტერმინოლოგიით მოხსენიება მისი მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა და გამოდმიანრეობდა მხარეთა შორის არსებულ დავის შინაარსიდან.

5.11 საჩივრის ავტორის პრეტენზიების შეფასებისას, კოლეგია ითვალისწინებს ეთიკის კომისიის პრაქტიკას, მათ შორის, კომისიის 2017 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილებას დისციპლინურ საქმეზე #061/17, რა დროსაც კოლეგიამ შეაფასა ადვოკატის ქმედება, კოლეგის მიმართ გამოთქმული შემდეგი ფრაზით: „თაღლითი“. „ადვოკატის მიერ გამოთქმული ფრაზების მიზანი არ ყოფილა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ადვოკატის მიერ გამოთქმული ფრაზები ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. ადვოკატის მიერ გამოთქმული აღნიშნული ფრაზები არ არის შეურაცხმყოფელი და არ ლახავს პირის ღირსებას. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში შემოტანილი საჩივრის თაობაზე წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელშიც საქმესთან დაკავშირებით, მოცემული ფორმით, გამოთქვა მოსაზრება კოლეგის მიმართ, რაც ეხებოდა მის პროფესიულ საქმიანობას და კლიენტებთან ურთიერთობას, რაც ადვოკატმა არა თავისი მოსაზრების დაყრდნობით, არამედ კლიენტების მოსაზრებების მიხედვით მიუთითა ახსნა-განმარტებაში ზემოთ აღნიშნული ფრაზები“.

5.12 მოცემულ შემთხვევაში, სადავო ფაქტთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორთა მოხსენიება არ მომხდარა დამამცირებელი ტერმინებით, არამედ გამოყენებული იქნა ტერმინი „თაღლითი.“ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობას, რომელსაც ეწოდება თაღლითობა. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მსგავი ტერმინის გამოყენება შესაძლოა, ადვოკატის დაცვის სტრატეგიის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი იყოს, რათა წარმოაჩინოს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის მცდარობა და საკუთარი კლიენტის არგუმენტების უტყუარობა. იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატმა დავის შინაარსიდან გამომდინარე გამოიყენა ზემოაღნიშნული ტერმინები და საჩივარში არ არის მოცემული სხვა გარემოებები, რის საფუძველზეც, კოლეგია იმსჯელებდა ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხყოფის სავარაუდოდ არსებობაზე, კოლეგიის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევა.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №009/19 ადვოკატ თ. ჯ.-ს მიმართ, /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/